

ა. შანიძე

ბგერათა ცვალებადების ისტორიული განვითარების პროცესში და ორთოგრაფია

მწერლობის მქონე ერის ენის ბგერათა ცვალებადობა ისტორიულად ჩვეულებრივ ისე ხდება, რომ ერთხელ შემოღებული ორთოგრაფია ვერ ასწრებს, ფეხი აუბას ენაში მომხდარ ბგერათა ცვალებას და ეს ცვალება ყოველთვის დროულად და სათანადოდ ასახოს წერილობით ძეგლებში. ამის გამო ჩვეულებრივია დაცილება წერასა და გამოთქმას შორის ისეთ ენაშიც კი, როგორიცაა ძველი ქართული, რომელსაც ჩინებული ანბანი მოეპოვება, სადაც თითქმის ყოველ ასოს თავისი გამოთქმა შეეფერება და თითქმის ყოველ ბგერას თავისი საკუთარი ნიშანი აქვს* საზოგადოდ წერა უფრო კონსერვატიულია, ვიდრე ბგერათა სისტემა.

1

ძველის-ძველად, V—VI საუკუნეებში, ქართულ სალიტერატურო ანბანში მერვე ადგილას იჯდა ასო, რომელიც მაშინ ჩ ნიშნით გამოიხატებოდა, რომლის მხედრული შესატყვისად გვიან შემუშავდა მ ასო. ამ ასოს ბგერითი მნიშვნელობა თავდაპირველად იყო ეჟ (ძველი ქართული წერით **ⴌ**), რომელიც აღნიშნული ასოს ნაცვლად ხშირად გვხვდება, იგი იხმარებოდა გარკვეულ შემთხვევებში, სხვათა შორის საზოგადო სახელთა სახელობით ბრუნვაში, სადაც ბრუნვის ნიშანია **ჟ**, მიღებული ი-საგან რედუქციის შედეგად. ეს **ჟ** შედის **მ** ასოში, რომელიც **ჟჟ**-დ ლაშვლება. მაგ., **მზმ**=**მზე**, **მთოვარმ**=**მთოვარე**, **საზმ**=**საზე** და მისთ.

ძველი სალიტერატურო ქართულის განვითარების პროცესში **ე-ზე** ფუძე-გათავებულ სახელებს უფრო ადრე დაეკარგათ ბრუნვის ნიშანი სახელობითში, ვიდრე სხვა ზმოვნით ფუძე-გათავებულებს: **მზე**>**მზე**, **მთოვარე**>**მთოვარე**, **საზე**>**საზე** და მისთ.. ამიტომ ამ გზით მიღებული ფორმები (**მზე**, **მთოვარე**, **საზე** და მისთ.) განვითარების შემდგომ საფეხურზე ფუძეც იყო და სახელობითი ბრუნვის ფორმაც. მაგრამ ეს ცვალება ენაში მოხდა, წერა კი რამდენადმე ჩამოჰრჩა ენის განვითარებას. რაკი ძველად **ე-ზე** ფუძე-გათავებულ საზოგადო სახელებს სახელობითში **მ** მოუდიოდათ, ამ ბრუნვაში ტრადიციით **მ** მაინც დარჩა, თუმცა მისი გამოთქმა უკვე არა **ჟჟ** იყო, არამედ **ე**. ეს მოვლენა კარგად დადასტურებულია IX—X ს.-თა ძეგლებში, სადაც **მ** ნიშნის ხმარება **ე** ბგერის მნიშვნელობით სხვა შემთხვევებშიც გვხვდება, მაგ., საკუთარ სახელთა სახელობითსა, მოთხრობითსა და წოდებითში. მაგ., აღიშნის 897 წლის სახარებაში სწერია: „ბრძანა მოსე“ (მათ. 9,14), მაგრამ აქ **მ** უთუოდ **ე**-ს უდრის („ბრძანა მოსე“), რადგანაც

* აქ ნახმარი „თითქმის“ თანამედროვე ქართული ანბანისათვის ზედმეტია, რადგანაც ლდგანდელ სალიტერატურო ქართულში ასო და ბგერა კარგად ემთხვევა ერთმანეთს.

ამ შემთხვევაში „მოსე“ მოთხრობით ბრუნვაში იგულისხმება, სადაც ე არის საჭირო („ბრძანა მოსე“, ე. ი., დღევანდელი ქართულით, „ბრძანა მოსემ“). სხვაგვარად მისი წაკითხვა შეუძლებელია. მაშასადამე, **მ** ამ შემთხვევაში უდრის ე-ს.

მოსე-ს მსგავსი საკუთარი სახელია ქრისტე. მისი ფუძეც ე-თი ბოლოვდება. მასაც სახელობითა და წოდებითში ე უნდა და არა **მ**. ნელად მოპოვებულ იქნა სარკოფაგი (ბოლნისის რაიონში, სოფელ ბალიჭში), რომელიც უნიკალური ძეგლია [1]. ამ ქვასამარხის სარკველზე იკითხება რელიეფურად გამოყვანილი დიდი ასოებით მოკლე წარწერა:

დესეს სოი ქმ მოიგსენე

ან

იესე სსოი ქმ მოიგსენე

სარკოფაგის სარკველზე შემოკლებულად ამოკვეთილ სიტყვებს თუ გავხსნით, იქნება:

დესეს სული ქრისტე მოიგსენე

ან

იესე სახლისუფალი ქრისტე მოიგსენე[2]

როგორ წავიკითხოთ ქრისტე? ქრისტე-დ?—არავითარ შემთხვევაში; ეს სახელი აქ წოდებით ბრუნვაში დგას და უთუოდ ე არის საჭირო და არა ემ. ამიტომ წარწერის ორი უკანასკნელი სიტყვა ასე უნდა წავიკითხოთ:

ქრისტე, მოიგსენე:

მაშასადამე, სარკოფაგზე ამოკვეთილია **მ**, რომელიც ძველისძველად ემ იყო და რომელიც შემდეგში ე-ს გაუტოლდა.

ერთი ადგილი მათეს სახარებიდან (5, 37) ძველ ხელნაწერებში განსხვავებულად იკითხება; ჯრუჭისა (936 წ.) და პარხლისაში (973 წ.) ასე: „იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰმ ჰმ და არაჲ არა“, ხოლო ადიშისაში ასე: „იყავნ სიტყუაჲ თქუენი: ჰმ ჰე და არაჲ არა“[3]. გამოცემაში კი დაიბეჭდა ასე: „იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰე, ჰე და არა, არა“, რაც შეცდომაა. ტექსტი უნდა დაბეჭდილიყო ისე, როგორც ადიშის ხელნაწერშია და მძიმეები არ იყო საჭირო; „იყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰმ ჰე და არაჲ არა“. აგრე იკითხება ეს წინადადება უფრო აღრინდელ ხანმეტ ტექსტშიც, რომელიც ივანე ჯავახიშვილმა პალიმფსესტიდან ამოიკითხა: „ხიყავნ სიტყუაჲ თქუენი ჰმ ჰე და არაჲ არა“[4]. ასეთი ორთოგრაფიით დადასტურების ნაწილაკი (ჰე) და უარყოფისა (არა) სახელის ფუნქციით ნახმარი სიტყვებია; მათ პარველად სახელობითი ბრუნვის ფორმა აქვთ (ქვემდებარეობა), მეორედ კი—წრფელობითისა (შედგენილი შემასმენლის ნაწილებია; ეს ბრუნვა უნიშნოა) და ამას ნიშნავს: „თქუენი ჰმ იყოს ჰე, თქუენი არაჲ იყოს არა“. მაშასადამე, ადიშის სახარებას ამ შემთხვევაში ტრადიციით შემოუნახავს ძველი ორთოგრაფია და მისი ჰმ აქ (თუ არაჲ-ს მიხედვით ვიმსჯელებთ) თითქო ჰე-ს უდრის. ვამბობთ „თითქო“, რადგანაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, „ბრძანა მოსე“ წინადადებაში ნახმარი **მ** ასო ემ-ს კი არ უდრიდა, არამედ გამოითქმოდა, როგორც ე.

პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონში (1083 წ.) დადასტურების ნაწილაკი ჰე ორჯერ არის ნახმარი, თანაც განსხვავებული ორთოგრაფიით: პირველად ჰე („ჰე ნანდვლე 1, 4), მეორედ კი ჰმ (ჰმ, ჩემიცა არ მცირედი აქუნდა საფასუ“ 2, 16). ცხადია, რომ ისინი გამოთქმით ერთი და იგივეა; ჰმ უდრის ჰე-ს.

ძველი ქართული ასოებით ნაწერ წიგნებსა და სხვა დოკუმენტებში **მ** ნიშნის ხმარება ღარჩა, და XII—XIII საუკუნიდან იგი დამკვიდრდა ე-ს გადმოსაცემად

უე ჯგუფში; მაგალითად: გუელი, ძუელი, წუერი და მისთ., როგორც წესი, იწერება ასე: გუწლი, ძუწლი, წუწრი და მისთ. (მოგვეყვას მხედრული ტრანსკრიპციით). მხედრულ წერაში, რომელიც XI საუკუნეში გამოიყვანეს ნუსხა-ხუცურს, უკუაგდეს მასოს წერა, მაგრამ მე-18 საუკუნეში კვლავ აღადგინეს იგი, სიტყვების უე ჯგუფში სახმარებლად (ჩუწნი, თქუწნი და მისთ.). მისმა ხმარებამ მხედრულად დაწერილსა თუ დაბეჭდილ წიგნებში გასტანა XIX საუკუნის 60-იან წლებამდე, ვიდრე ილია ჭავჭავაძე არ ჩაერია ქართული ორთოგრაფიის საკითხებში და ეს ასო არ განიღვენა ხმარებიდან.

ძველად გვექონდა ანბანში სხვა ასო, რომლის მხედრული სახე ჯ არის. იგი გადმოგვცემს ხორხისმიერ ბგერას, რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ენაში აღარ გვაქვს, მაგრამ გადარჩა მთის ქართულ კილოებში (ფშაურში, ხევსურულში ჩადმა-თუშურში, მთიულურ-გუდამაყრულში, მოხერში) და აქა-იქ აღმოს. საქართველოს კუთხეებში, მაგ., ქიზიყში. იგი კარგად შენახულია აგრეთვე სვანურში.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი პოპულარულ გამოცემებში იმგვარად იბეჭდება, რომ ეს ასო სულ ამოგდებულია და შეცვლილია ხ-თი: ხელმწიფე, ხამს, მუხლი, ხმა და სხვა. მაგრამ სამეცნიერო გამოცემებში აუცილებელია მისი აღდგენა. მაშინ, სხვათა შორის, სხვადასხვაგვარად დაიბეჭდება ორი სიტყვა, რომლებიც ძველად სხვადასხვანაირად გამოითქმოდა და იწერებოდა: „ჯელი“ და „ხელი“, რომელთაც მნიშვნელობაც სხვადასხვა აქვთ (ჯელი—ზედა კიდური, ხელი—გადარეული). უნდა აღდგენილ იქნეს იმიტომ, რომ მეთორმეტე საუკუნეში ჯ ბგერა მკვიდრი იყო სალიტერატურო ენაში და მისი ხმარება ისევე აუცილებელი იყო, როგორც დღევანდელი ქართულისთვის ყ და ლ. წ და ჭ და სხვ.

ამიტომ დასაინანია, რომ 1956 წ. გამოცემულს ვრცელ „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც 1671 წ. გადაწერილი ხელნაწერის მიხედვით არის შესრულებული (გამოსცა ს. ყუბანეიშვილმა) და აგრეთვე „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების ოთხსავე ნაკვეთში, რომლებიც შ. რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა შეადგინა და გამოსცა (1960—1963 წწ.), ხელნაწერების ორთოგრაფიას კი არ გაუწიეს ანგარიში, არამედ დღევანდელი ორთოგრაფია გაატარეს და ჯარების ნაცვლად ყველგან ხანები დაბეჭდეს. ამიტომ ეს გამოცემები არას გვეუბნება ჯარის ხმარებისა და მისა ხანთან აღრევის ისტორიისათვის.

2

მსგავსი მოვლენები სხვა ენებიდანაც არის ცნობილი. მაგალითად, ძველ სომხურ სალიტერატურო ენაში (გრაბარში) არ იყო ბგერა, რომელიც ქართულად ლ ასოთი გამოიხატება. სამაგიეროდ იყო ორი ლ, რომელთაგანაც ერთი (ღ) „მაგარი“ იყო, მეორე კი (ლ) — „ლბილი“. ამათგან მაგარი ლ შემდეგში ლ-დ იქცა, წერა კი დარჩა ძველი და „მაგარი“ ლ-ს ნიშანზე გადავიდა ახალი ლ ბგერის გამოთქმა. ვინც გრაბარის ასოების გამოთქმის საკითხში გარკვეული არ არის, ლ-ს ნიშნად სიტყვებს დღევანდელი გამოთქმის მიხედვით კითხულობს, როგორიცაა, მაგ., კაცის სახელები: ელიშე, ლაზარ, ლუკას, ელიაზარ და მისთ., რომლებიც მის გამოთქმაში არის (შესაბამისად): ელიშე, ლაზარ, ლუკას, ელიაზარ და მისთ. როდესაც მაგარი ლ ჯერ კიდევ ლ იყო, მაშინ სომხურიდან ქართულში შემოვიდა ალქატი. რომელიც „ლატაკს“ ნიშნავს. ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსანშიც“ გვხვდება სახელის ფორმითაც და მისგან ნაწარმოები ზმნის ფორმითაც:

მოიღეს ძღუენი უსახო ფრიდონის არ-ალქათისა (1465)
მისთვის ხელმან გამოჭრილმან ლხინი ჩემი ვაალქათე (251).

მაგრამ ამ სიტყვას სომხები კაი ხანია **ალქათ**-ად გამოთქვამენ და, საზოგადოდ, „მაგარ“ ლ ასოს **ღ** ბგერად აღიქვამენ ძველის-ძველ სომხურ წიგნებსა და წარწერებშიც. ეს შეცდომა, ე. ი. თანამედროვე სომხური გამოთქმის გადატანა ძველს წერილობითს ძეგლებში, ზოგჯერ მეცნაერებსაც მოსდის. მაგ., კორიენის „ვარქ მაშტოცი“ („მაშტოცის ცხოვრების“) წიგნის საკუთარი სახელები **არხვალ** და **არძივლ** ამ წიგნის რუსულად მთარგმნელებს სუმბატიანსა და მელიქ-ოპანჯიანს **არხვალად** და **არციულ**-ად წაუკითხავთ და რუსულ თარგმანში **Арвах**-ად და **Арцух**-ად გადაუღიათ [5].

სომხებს დღეს ორი სალიტერატურო ენა აქვთ: აღმოსავლური და დასავლური. აღმოსავლური სომხური შემუშავდა ერევან-თბილისში მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე, ძირითადად აირარატულ კილოზე დაყრდნობით, დასავლურს კი უფრო ძველი ტრადიციები აქვს და იგი ეყრდნობა კონსტანტინოპოლში მცხოვრებ სომეხთა მეტყველებას. ეს კონსტანტინოპოლის (სტამბოლის) სომხები გამოსულნი არიან ისტორიული სომხეთის სამხრეთ-დასავლური კილოებიდან, რომლებიც I მსოფლიო ომამდე ოსმალეთის ფარგლებში იყო მოქცეული. ამ კილოებში ძველად საკვირველი გარდატეხა მოხდა ბგერით სისტემაში: გარკვეული ჯგუფის საპირისპირო მკლერი და ყრუ თანხმოვნები ერთმანეთს შეენაცვლნენ: ყრუები გამჟღერდნენ, მკლერები დაყრუდნენ. მაგალითებით რომ ვთქვათ, **კ, ტ, პ** იქცა **გ, დ, ბ**-დ (შესაბამისად) და პირუკუ, **გ, დ, ბ** გახდა **კ, ტ, პ**. ჩრდილო-აღმოსავლურ კილოებში კი, რომელთა ნაწილი ქართული ენის სამხრული კილოების მოსაზღვრე იყო, ასეთი ბგერათა ცვალემა არ მომხდარა და ძველი ვითარება დარჩა. ამიტომ ახალმა აღმოსავლურმა სომხურმა განაგრძო გრაზარის ტრადიციები მეტყველებაშიც და წერაშიც, დასავლურმა კი—მართო წერაში. დასავლელი სომხები, რომლებიც კონსტანტინოპოლს გარდა, გაფანტულნი არიან სხვადასხვა ადგილას და მწერლობას მისდევენ (მაგ., მათ მართარაანთ ძმობა აქვთ ვენეციასა და ვენაში), იმავე ანბანს ხმარობენ, რასაც აღმოსავლელები (მაგ., სომხეთის სსრ-ში), მაგრამ ზოგ ასოს ძველთაგან ნაანდერძვე სომხურ სიტყვებში ისინი სხვაგვარად გამოთქვამენ, თანხმად იმ ბგერათცვალეებისა, რომელიც მოხდა სომხური ენის სამხრეთ-დასავლურ კილოებში. ამიტომ ორსავე ახალ სალიტერატურო სომხურში რომელიმე სიტყვა შეიძლება ერთნაირ დ იწერებოდეს, მაგრამ სხვადასხვაგვარად გამოითქმოდეს. ასეთია, მაგალითად, სახელი *Խաչատուր*, რომელიც ერთნაირად იწერება აღმ. სომხურშიც და დასავლურშიც, მაგრამ გამოითქმის სხვადასხვანაირად: აღმოსავლურში **კარაპეტ**-ად, დასავლურში კი **გარაბედ**-ად. სამაგიეროდ, ინდოსტანში ნელად წარმოქმნილი სახელმწიფოს სახელი ორივე სალიტერატურო ენით სხვადასხვანაირად დაიწერება: აღმოსავლურზე **ბანგლადეშ**, დასავლურზე კი **პანკლატეშ**, მაგრამ **პანკლატეშ** გამოთქმით იგივე **ბანგლადეშ** იქნება, რადგანაც სომხური **პ, ტ, კ** ასოებს დასავლელი სომხები აღიქვამენ, როგორც **ბ, დ, გ**-ს.

განთქმული სომეხი მოჭადრაკის ექსპედიციონის ტიგრანის გვარი *Պերույան* აღმოსავლური სომხური წერითაც და გამოთქმითაც **პეტროსიან**-ი არის, დასავლური სომხური წერა იგივეა, მაგრამ გამოთქმა სხვაა: **ბედროსიან**.

ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე მონომახმა მოახერხა, რომ სომხეთის სამეფო დაეხმო, უკანასკნელი მეფე გაგიკ II საბერძნეთში გაეწვია და სატახტო ქალაქი ანისი ხელში ჩაეგდო (1046 წ.), რასაც სომხეთის შინაურმა აშლილობამ

შეუწყო ხელი. ისტორიკოსი ამბობს, რომ ბიზანტიის მხედართმთავარს ანისის გასაღები ვედროს კათალიკოსმა გადასცაო[ნ], ცხადია, რომ ვედროს—ეს არის ბერძნულად დაწერილი ბედროს, რომელიც ამჟღავნებს ამ სახელის დასავლურ გამოთქმას. მაშასადამე, ბერძნული ასოებით დაწერილი ვედროს დასავლური სომხურის ბედროს არის, რაც აღმოსავლური სომხურის მიხედვით პეტროს იქნება.

3

ბერძნულ ენაში დიდი ცვალება მოხდა ბგერათა სისტემის გარდაქმნის გამო ამ ენის განვითარების პროცესში. ცვალება შეეხო ხმოვნებსაც და თანხმოვნებსაც (ამ წერილში მხოლოდ ხმოვნების ცვალებას ვეხებით). მაგრამ ეს ცვალება ნელ-ნელა ხდებოდა და ერთი თაობისათვის შეუმჩნეველი რჩებოდა, წერაში კი ძველად შემოღებულ წესებს მისდევდნენ და ბგერა-შეცვლილი სიტყვები ძველებური ორთოგრაფიით გამოჰყავდათ. ბგერა შეიცვალა, ასო კი არა. ამის გამო მოგვიანო ძეგლების ენაში გარკვეულ ასოებსა და ასოთა ჯგუფებს სხვა გამოთქმა მიეკუთვნა, ვიდრე მათ ჰქონდათ. მაგ., წინათ, ძველ ბერძნულში, ϵ ასო წინამავალ ხმოვნებთან ღიფთონგს ქმნიდა: $\alpha\epsilon$, $\epsilon\epsilon$. $\omicron$ და ამ ჯგუფის გამოთქმა იყო, $\alpha\omicron$, $\epsilon\omicron$, $\omicron\omicron$ (შესაბამისად). შემდგომი ხანის ბერძნულში, ბიზანტიურში, მათ დაკარგეს ღიფთონგის ხასიათი და ϵ , $\omicron$, ι ხმოვნების გამოხატვა დაეკისრათ. თუ წინათ $\alpha\alpha$ („და“ კავშ.), $\epsilon\epsilon$ („ში“ თანდ.) და $\omicron\omicron$ („სახლი“) ასე იკითხებოდა (შესაბამისად): $\kappa\alpha\alpha$, $\epsilon\alpha\epsilon$, $\omicron\omicron\omicron$, შემდეგ მათ ასე კითხულობდნენ: $\kappa\epsilon$, $\iota\epsilon$, $\iota\omicron$.

ამას გარდა, ბერძნული ანბანის მერვე ასო η (η) გამოთქმაში ι -დ იქცა და, თუ ამ ასოს სახელი წინათ $\epsilon\tau\alpha$ იყო, შემდეგ მას $\iota\tau\alpha$ -ს ეძახდნენ. ბერძნულ ბიბლიაში, რომელიც ალექსანდრიულის სახელით არის ცნობილი (Codex Alexandrinus) და რომელსაც V საუკუნის ნახევრით ან ბოლოთი ათარილებენ, უკვე აღრევა ყოფილა ($\alpha\epsilon$ და ϵ -სი, $\epsilon\epsilon$ და ι -სი, η და ι -სი და სხვ.).

ამას დაერთო კიდევ, რომ υ ხმოვანი, რომელიც თანხმოვნის წინ ან თანხმოვნებს შორის დავიწროებული უ იყო (გერმ. u). შემდეგ კიდევ უფრო დავიწროვდა და ι -დ იქცა. ამიტომ ι ბგერის გამოსახატავად წარმოიშვა რამდენიმე ვარიანტი: ι , η , υ , $\epsilon\iota$, $\omicron\iota$. მაგ., ძველის-ძველად $\sigma\upsilon\chi\epsilon\iota\eta\sigma\iota\varsigma$ სუინეადესის იყო, შემდეგ კი $\sigma\iota\chi\iota\varsigma$ და, რამაც ქართულში ჯერ სუინდისი მოგვცა და შემდეგ სვინდისი, სინდისი. ასეთ ვითარებაში აღვილი იყო, რომ სიტყვების დაწერაში შეცდომები მოსვლოდათ, და მოსდიოდათ კიდევ. კლასიკური ბერძნული ორთოგრაფიით წერა ყოველთვის არ ხერხდებოდა და ყველას არ ემარჯვებოდა და აღნიშნულ ვარიანტთაგან ერთის დაწერა მეორის ნაცვლად ჩვეულებრივი იყო.

როგორც ვთქვით, ბიზანტიურ ბერძნულში ι ბგერა შეიძლებოდა გადმოცემულიყო ერთი ნიშნითაც (ι , η , υ) და ორითაც ($\epsilon\iota$, $\omicron\iota$). ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ მცირე განათლების მწერლებს ისინი ერეოდა ერთმანეთში და ხშირად ერთი ნიშნის ნაცვლად მეორეს წერდნენ. ამ ორთოგრაფიული აღრევის ნიადაგზე შეიძლება კაცს ტექსტის წაკითხვა-გაგებაში შეცდომა მოუვიდეს, რომლისაგანაც ზოგჯერ კარგი სპეციალისტიც არ არის დაზღვეული.

ძველს ბერძნულში იყო ორი სიტყვა, რომლებიც ერთმანეთისაგან პირველი ხმოვნით განსხვავდებოდნენ: $\lambda\epsilon\chi\upsilon\iota\varsigma$ („ჭამის მოყვარე“, „გაუმაძღარი“) და $\lambda\sigma\chi\upsilon\iota\varsigma$ („სასანთლე“, „შანდალი“). იმისგან ნაწარმოები იყო $\lambda\epsilon\chi\upsilon\iota\alpha$ („ნაყროვნება“, „გაუმაძღრობა“), რომელიც უხმარიათ პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონის (წესდების) ბერძნულ ტექსტში, რომელიც 1083 წ. დაიწერა [7] და რო-

მელიც ჩვენ დროს ითარგმნა დღევანდელ სალიტერატურო ქართულზე. მაგრამ ამ სიტყვის პირველ ხმოვნად ბერძნულად დაუწერიათ არა ι , რომელიც მოსალოდნელი იყო ძველი ორთოგრაფიის თანახმად, არამედ υ ($\lambda\sigma\chi\upsilon\lambda$), რაც შეიძლება ბიზანტიურ ხანაში მომხდარიყო ι და υ ასოთა აღრევის ნიადაგზე. ქართველმა მთარგმნელმა ეს სიტყვა წაიკითხა ისე, თითქო იგი ძველი ორთოგრაფიით იყოს დაწერილი, მნიშვნელობაც ძველი ივარაუდა, მაგრამ საგონებელში ჩავარდა: რა უნდა აქ სასანთლესაო? მან გულწრფელად აღიარა: აქ ჩვენთვის გაუგებარ აღგილს ქართულ ტექსტში შეეფარდება: „რამათა დაიქსნას ჭუვილი მათი, რომელნი უნაყროვნეს-რე იყვნენ“, ე. ი. „რათა შეანელოს იმ ძმების მწუხარება, რომლებიც გაუმაძღარნი არიანო“ (Georgica V, 1963, გვ. 163).

მიუხედავად იმისა, რომ ტიპიკონის ქართული რედაქციის ტექსტი გაუმაძღრობას აჩენდა („რომელნი უნაყროვნეს-რე იყვნენ“) და მ. თარხნიშვილის ლათინური თარგმანიც მას ემოწმებოდა (*qui avidiores fuerint*), ახალ ქართულზე მთარგმნელი შებოჭილი აღმოჩნდა სიტყვის მცდარი ორთოგრაფიით. ის რომ დაეჭვებულყო სიტყვის ორთოგრაფიის სისწორეში და ეცნო, რომ $\lambda\sigma\chi\upsilon\lambda$ შეცდომით დაწერილი $\lambda\sigma\chi\iota\lambda$ არის, გაუგებრობა გაიფანტებოდა და თარგმანი სწორი გამოუვიდოდა.

აქ მოთხრობილი ამბები იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ტექსტს მისი დაწერის დროინდელი ნორმების მიხედვით უნდა ვკითხულობდეთ და არა წინანდელისა ან მერმინდელისა. ეს განსაკუთრებით საჭიროა ბიზანტიური ხანის ბერძნული ტექსტების კითხვის დროს. ამ პრინციპის გამოყენება ბევრჯერ გაგვინათებს სწორ გზას კვლევა-ძიების დროს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. ეს სარკოფაგი ამჟამად თბილისშია დაცული, „ძველი სოფლის“ მუზეუმში, ღია ცის ქვეშ (კუხტბის გადმოღმა).
2. ა. შანიძე. ბალიუტური სარკოფაგის წარწერა: „მაცნე“, ისტორიისა, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1972, № 3, გვ. 137—143.
3. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ (ძველი ქართული ენის ძეგლები. 2). 1945.
4. ი. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია. 1949, გვ. 321. აქედან გადაბეჭდა ი. იმნაიშვილმა თავის „ქართული ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ (ტ. I, ნაწ. I, 1970, გვ. 18).
5. Корюнь. Житие Маштоца. Перевод Ш. В. Смбатяна и К. А. Мелик-Оганджяна. Ереван, 1962.
6. Ф. И. Успенский. История Византии. III. М.-Л. 1948. стр. 52.
7. ა. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი. ტიპიკონის ქართული რედაქცია. 1971.